საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2648-03
30/12/2021

2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის ვადებისა და პროცედურის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 49-ე მუხლის პირველი პუნქტის, 56-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტის, აკადემიური საბჭოს მიერ 2018 წლის 1 თებერვლის N1 სხდომის ოქმით დამტკიცებული ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებისა" და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანის 2021 წლის 28 დეკემბრის N15503-35 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს მიღება 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის შემდეგ სადოქტორო პროგრამებზე/ მიმართულებებზე:

ა) ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა ,,მედიცინა"- 6 ვაკანტური ადგილი, მიღების წინაპირობაა დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაცია;

ბ) ფიზიკა და ასტრონომია- 2 ვაკანტური ადგილი, მიღების წინაპირობაა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ფიზიკაში ან შემდეგ დეტალურ სფეროებში: მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებები, ბიოლოგიური და მისი მონათესავე მეცნიერებები, ქიმიური მეცნიერებები, ასევე ინჟინერიის სხვადასხვა დარგში(მაგ: ელექტრობა და ენერგია, ელექტრონიკა და ავტომატიზაცია, ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები, ინჟინერია და საინჟინრო საქმე-არაკლასიფიცირებული);

გ) დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები- 5 ვაკანტური ადგილი, მიღების წინაპირობაა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებში, გეოლოგიაში, გეოგრაფიაში, გეოფიზიკაში ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ნებისმიერ დეტალურ სფეროში, ასევე, მათემატიკაში, კომპიუტერულ

მეცნიერებებში, სამთო საქმესა და გეოლოგიის მენეჯმენტში, არქეოლოგიაში, ინჟინერიის ისეთ დეტალურ სფეროში როგორიცაა, გარემოს დაცვის ტექნოლოგია, სამთო საქმე და მოპოვება, ინჟინერია და საინჟინრო საქმე - არაკლასიფიცირებული, საინჟინრო ფიზიკა, საინჟინრო გეოდეზია და გეოინფორმატიკა;

დ) საზოგადოებრივი ჯანდაცვა(ინგლისურენოვანი პროგრამა)- 5 ვაკანტური ადგილი, მიღების წინაპირობაა საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებული, მედიცინის სფეროს მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, სოციალური მეცნიერებების, ეკონომიკისა და მენეჯმენტის დარგში მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ე) მოლეკულური ბიოლოგია და ნეირომეცნიერებები - 5 ვაკანტური ადგილი(აქედან მოლეკულური ბიოლოგია -2 ვაკანტური ადგილი, ნეირომეცნიერებები- 3 ვაკანტური ადგილი), მიღების წინაპირობაა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ბიოლოგიურ და მასთან დაკავშირებული მეცნიერებებში, ჯანდაცვის სფეროში, ფსიქოლოგიის სფეროში.

ვ) ბიოქიმია და მოლეკულური ბიოტექნოლოგია- 3 ვაკანტური ადგილი, მიღების წინაპირობაა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ბიოლოგიურ და მასთან დაკავშირებულ მეცნიერებებში ან ჯანდაცვის სფეროში.

ზ) ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა ,,ეკოლოგია“- 6 ვაკანტური ადგილი, მიღების წინაპირობაა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი შემდეგი მიმართულებებით: ბიოლოგიური და მასთან დაკავშირებული მეცნიერებები; გარემო; დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები; საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ინტერდისციპლინური).

2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ამ ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნულ სადოქტორო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველებმა განაცხადი და ქვემოთ მითითებული დოკუმენტაცია უნდა გამოაგზავნონ 2022 წლის 10 იანვრიდან 20 იანვრის ჩათვლით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ელ. მისამართზე application_se@iliauni.edu.ge (დოკუმენტები უნდა გადმოიგზავნოს ერთხელ, ერთ საქაღალდედ აკინძული PDF - ფორმატში, წინააღმდეგ შემთხვევაში კანდიდატის საბუთები არ განიხილება),მიღების დადასტურება მოხდება ფაკულტეტის წარმომადგენლის მიერ:

ა) სააპლიკაციო ფორმა(დანართი 3);

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) შესაბამისი სადოქტორო პროგრამის მიღების წინაპირობაში განსაზღვრული შესაბამისი მიმართულების/დარგის/სპეციალობის აკრედიტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული მაგისტრის ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი ან

არანაკლებ ხუთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული დიპლომი (რომელიც გათანაბრებული უნდა იყოს მაგისტრის ხარისხთან) ან ცნობა ხარისხის მინიჭების შესახებ, თუ დიპლომი ჯერ გაცემული არ არის, რომელშიც მითითებული უნდა იყოს კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება და თარიღი. (უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომის აღიარება/მაგისტრის ხარისხთან გათანაბრების ცნობა დადასტურებული უნდა იყოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ);

დ) ავტობიოგრაფია (CV);

ე) 3X4–ზე ფოტოსურათის ელ.ვერსია;

ვ) აპლიკანტისა და პოტენციური ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი სასურველი სადოქტორო პროგრამის სადოქტორო კვლევითი განაცხადი(დანართი 1);

ზ)პოტენციური სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი თანხმობის ფორმა სასურველი სადოქტორო პროგრამის მიხედვით (დანართი 2);

თ) ინგლისური ენის გამოცდისგან განთავისუფლდებიან ის კანდიდატები, რომლებიც წარმოადგენენ:
ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ ვალიდურ სერტიფიკატს (TOEFL(P/B მინიმუმ 513 score; I/BT მინიმუმ 75 score); IELTS (მინიმუმ 5); მინიმუმ FCE; მინიმუმ BEC Vantage; PTE (მინიმუმ General level 3); PTE Academic (მინიმუმ 59p); მინიმუმ Michigan ECCE) **ან** შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატი- Certus, რომელიც ადასტურებს კანდიდატის ინგლისური ენის კომპეტენციას პროგრამით გათვალისწინებულ მინიმუმ B2 დონეზე **ან** ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ი) აპლიკანტმა, რომელსაც ინგლისურ ენაზე აქვს გავლილი ბაკალავრიატის და/ან მაგისტრატურის სრული პროგრამა, უნდა წარმოადგინოს ინგლისურენოვანი საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი. საქართველოს ფარგლებს გარეთ ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელ დიპლომთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი - უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ გაცემული დიპლომით არ დასტურდება, რომ აპლიკანტის მიერ გავლილი პროგრამა იყო ინგლისურენოვანი, აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს დიპლომის დანართი ან ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ინგლისურენოვანი პროგრამის გავლის თაობაზე. უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომის აღიარება დადასტურებული უნდა იყოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

კ) ინგლისური ენის გამოცდისგან თავისუფლდნენ ის პირები, რომლებიც რეგისტრაციის დროს წარმოადგენენ ამ ბრძანების მეორე პუნქტის ,,თ“ და ,,ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტს;

ლ) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის აპლიკანტებისათვის სავალდებულოა გამოაგზავნონ დამსაქმებლის/უშუალო უფროსის სარეკომენდაციო წერილი, რომლითაც დასტურდება ჯანდაცვის სფეროში მუშაობის მინიმუმ 3-წლიანი გამოცდილება.

მ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ ვაჟებისთვის).

3. დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების სურვილის მქონე პირებს, რომლებმაც წარმატებით გაიარეს რეგისტრაცია, გარდა იმ პირებისა, რომლებიც აკმაყოფილებენ და წარმოადგინეს ამ ბრძანების მეორე პუნქტის ,,თ“ და ,,ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტი და წარმატებით გაიარეს რეგისტრაცია, ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დასადასტურებლად გამოცდა ინგლისურ ენაში ჩაუტარდეთ დისტანციურად, ელექტრონული პლატფორმა Zoom-ის გამოყენებით **2022 წლის 22 და 26 იანვარს,** გამოცდის დროის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და გაეგზავნოთ ინფორმაცია აპლიკანტებს ელექტრონულ ფოსტაზე.

4. დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველი კანდიდატებისათვის გამოცდები გაიმართოს დისტანციურად, ელექტრონული პლატფორმა Zoom - ის გამოყენებით. ელ. პლატფორმის გადმოწერაზე, შესაბამისი ტექნიკური (აუდიო და ვიდეო) პარამეტრების გამართვაზე ასევე, მის სივრცეში უწყვეტი ინტერნეტ კავშირის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლია დოქტორანტობის კანდიდატი. სავალდებულოა გამოცდის დროს აპლიკანტს თან ჰქონდეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელსაც წარმოუდგენთ კომისიას დისტანციურ რეჟიმში.

5. ინგლისური ენის გამოცდის მინიმალური ბარიერია 51 ქულა. კანდიდატები, რომლებიც ვერ გადალახავენ აღნიშნულ ბარიერს, კარგავენ კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას;

6. ინგლისური ენის გამოცდის შედეგები უნივერსიტეტის ვებგვერდზე აპლიკანტთა საიდენტიფიკაციო კოდის მითითებით განთავსდეს **2022 წლის 27 იანვარს;**

7. ინგლისური ენის გამოცდასთან დაკავშირებით საპრეტენზიო განაცხადებით მომართვა მოხდეს **2022 წლის 28 იანვარს,** 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, უნივერსიტეტის კანცელარიის ელექტრონულ ფოსტაზე განცხადების გამოგზავნის გზით info@iliauni.edu.ge

8. ინგლისური ენის გამოცდაში მიღებული ქულა არ განსაზღვრავს დოქტორანტობის კანდიდატის ერთიან საბოლოო სარეიტინგო ქულას. პროგრამაზე მიღებისათვის კანდიდატის ერთიანი სარეიტინგო ქულა განისაზღვრება კვლევითი განაცხადის და ზეპირი გამოცდის კომპონენტებში მიღებული სარეიტინგო ქულების ჯამით.

9. ინგლისური ენის გამოცდის შედეგები, აპელაციის შედეგების გათვალისწინებით, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსდეს **2022 წლის 1 თებერვალს** უნივერსიტეტის ვებგვერდზე საიდენტიფიკაციო ნომრის მითითებით;

10. ინგლისური ენის გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, განხილულ იქნას კვლევითი განაცხადი და მისი შეფასება უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსდეს **2022 წლის 4 თებერვალს** საიდენტიფიკაციო ნომრის მითითებით;

11. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი კანდიდატების მიერ რეგისტრაციისას წარმოდგენილ სადოქტორო კვლევით განაცხადს 5-ქულიანი სარეიტინგო სკალისა და განსაზღვრული წესის მიხედვით აფასებს შესაბამისი მიმართულების დარგობრივი კომისია. სადოქტორო კვლევითი პროექტის შეფასების მინიმალური ზღვარია 3 ქულა. სადოქტორო კვლევითი განაცხადი დარგობრივ კომისიას ეგზავნება ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ.

12. იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სადოქტორო კვლევითი პროექტი დარგობრივი კომისიის მიერ შეფასდება 3-ზე ნაკლები ქულით, კანდიდატი კარგავს კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას.

13. კვლევითი განაცხადის შედეგებთან დაკავშირებით სააპელაციო განაცხადების მიღება იწარმოებს **2022 წლის 7 თებერვალს,** 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, უნივერსიტეტის კანცელარიის ელექტრონულ ფოსტაზე განცხადების გამოგზავნის გზით info@iliauni.edu.ge

14. კვლევითი განაცხადის შეფასება აპელაციის შედეგების გათვალისწინებით უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსდეს **2022 წლის 9 თებერვალს** უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

15. იმ კანდიდატთათვის, რომლებმაც წარმატებით გაიარეს ინგლისური ენის გამოცდა და კვლევით განაცხადში შეფასებით გადალახეს მინიმალური ზღვარი, დარგობრივი კომისიის მიერ ზეპირი გამოცდა ჩატარდეს **2022 წლის 11 თებერვლიდან 16 თებერვლის ჩათვლით** დისტანციურად, ელექტრონული პლატფორმა Zoom-ის გამოყენებით,ინფორმაცია დროის შესახებ განთავსდეს არაუგვიანეს 10 თებერვლისა უნივერსიტეტის ვებგვერდზე და გაეგზავნოთ აპლიკანტებს ელექტრონულ ფოსტაზე;

16. ზეპირი გამოცდა შეფასდეს ხუთქულიანი სარეიტინგო სკალისა და განსაზღვრული წესის მიხედვით. ზეპირი გამოცდის სამზე ნაკლები ქულით შეფასების შემთხვევაში, კანდიდატი ეთიშება კონკურსს.

17. ზეპირი გამოცდის შედეგები განთავსდეს **2022 წლის 17 თებერვალს** უნივერსიტეტის ვებგვერდზე აპლიკანტისათვის მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომრის მიხედვით;

18. პროგრამაზე მიღებისათვის სადოქტორო კანდიდატის ერთიანი სარეიტინგო ქულა განისაზღვროს კვლევის განაცხადის და ზეპირი გამოცდის კომპონენტებში მიღებული სარეიტინგო ქულების ჯამით.

19. ზეპირი გამოცდის შედეგებთან დაკავშირებით სააპელაციო განაცხადების მიღება იწარმოებს **2022 წლის 18 თებერვალს,** 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, უნივერსიტეტის კანცელარიის ელექტრონულ ფოსტაზე განცხადების გამოგზავნის გზით info@iliauni.edu.ge

20. ზეპირი გამოცდის შედეგებთან დაკავშირებული სააპელაციო განაცხადის განხილვა მოხდეს **2022 წლის 21 თებერვალს.**

21. ზეპირი გამოცდის საბოლოო შეფასებები, აპელაციის შედეგების გათვალისწინებით/ჩასარიცხ კანდიდატთა სია მხოლოდ რეგისტრაციის დროს მინიჭებული საიდენტიფიკაციო კოდის მითითებით გამოქვეყნდეს **2022 წლის 23 თებერვალს** უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

22. დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების მსურველთა მიერ გაკეთებული განაცხადი შეიძლება შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებსაც ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. უნივერსიტეტის მხრიდან აღნიშნული მონაცემები დამუშავდეს სახელშეკრულებო/სასწავლო ურთიერთობების დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ხოლო სამართლებრივი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში შესაძლოა მათი გადაცემა მოხდეს მესამე პირებისთვის. დოქტორანტურაში სწავლის მსურველთა შესახებ ინფორმაცია განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე მხოლოდ აპლიკანტისთვის მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომრის მიხედვით და განთავსებულ იქნას დოქტორანტურის საფეხურზე პირთა ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემიდან 32 დღის განმავლობაში. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს დაევალოს ამ პუნქტით განსაზღვრული ვადების დაცვა და კონტროლი.

23. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ამ ბრძანების პირველი პუნქტით გამოცხადებულ სადოქტორო პროგრამებზე ჩასარიცხი კანდიდატები სწავლის გაგრძელების სურვილის დასადასტურებლად და ხელშეკრულების გასაფორმებლად უნდა გამოცხადნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე (მის:ოთახი H118, უნივერსიტეტის H კორპუსთან შემოსასვლელი ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5 ეზოდან) **2022 წლის 24 და 25 თებერვალს 10:00 საათიდან 18:00 საათამდე** და თან უნდა იქონიონ შემდეგი დოკუმენტები, დოკუმენტების სრულყოფილად წარმოდგენა შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა:

ა)პირადობის მოწმობა ან პასპორტი (ორიგინალი და მისი ასლი). უცხო ქვეყნის მოქალაქეობის შემთხვევაში -პასპორტის(ან პირადობის მოწმობის) სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;

ბ) ორი ფოტოსურათი და ელ. ვერსია ელექტრონულ მატარებელზე(CD);

გ)აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული მაგისტრის (ან ხუთწლიანი უმაღლესი განათლების მაგისტრის ხარისხთან გათანაბრებული დიპლომის

შემთხვევაში, გათანაბრების ცნობა დადასტურებული უნდა იყოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ) ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ან ხუთწლიანი უმაღლესი განათლების მიღების დამადასტურებელი დიპლომის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი ან იმ შემთხვევში თუ დიპლომი ჯერ გაცემული არ არის აკრედიტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა-მაგისტრის ხარისხის მინიჭების შესახებ, რომელშიც მითითებული უნდა იყოს კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი, ხოლო უცხოეთში მიღებული უმაღლესი განათლების შემთხვევაში- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ;

დ)ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო აღიარებული სერტიფიკატის ამ ბრძანების მეორე მუხლის ,,თ''/,,ი'' პუნქტებით მოთხოვნილი დოკუმენტი (ორიგინალი) ან სანოტარო წესით დამოწმებული ასლი; **ან** შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატის ორიგინალი ან სანოტარო წესით დამოწმებული ასლი, რომელიც ადასტურებს კანდიდატის ინგლისური ენის კომპეტენციას პროგრამით გათვალისწინებულ მინიმუმ B2 დონეზე; **ან** ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი(დიპლომის ნამდვილობა დადასტურებული უნდა იყოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ) ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ე) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი(მხოლოდ ვაჟებისთვის);

ვ) იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტობის კანდიდატის ნაცვლად საბუთებს წარმოადგენს და ხელშეკრულების აფორმებს მინდობილი პირი, მან თან უნდა იქონიოს სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა.

ზ) საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამის აპლიკანტებისათის სავალდებულოა წარმოადგინონ დამსაქმებლის/უშუალო უფროსის სარეკომენდაციო წერილის დედანი, რომლითაც დასტურდება ჯანდაცვის სფეროში მუშაობის მინიმუმ 3-წლიანი გამოცდილება.

24. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს დაევალოს, არაუგვიანეს 2022 წლის 28 თებერვლისა მიაწოდოს რექტორს იმ პირების სია, რომელთაც გააფორმეს ხელშეკრულება მათი ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოსაცემად;

25. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს;

26. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს დაევალოს ამ ბრძანების და ბრძანებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციის დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა და მოთხოვნის შემთხვევაში ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნა.

27. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

28. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს, რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და იურიდიულ სამსახურს.

გიგა ზედანია

რექტორი